იურიდიული დახმარების სამსახური
10 წელი ადამიანის უფლებებისათვის

საქართველომ, კონსტიტუციის მიღებით და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთებით, აგრეთვე, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის დამტკიცებით, აიღო ვალდებულება, რომ თავის მოქალაქეებს დაცვის უფლების რეალიზაციის ეფექტიანი მექანიზმით უზრუნველყოფდა. სწორედ ამ მიზნით, 2004 წელს საქართველოში დაიწყო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა. მისი ინიციატორები იყვნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და იუსტიციის სამინისტრო, ფინანსურ მხადაჭერას კი ახორციელებდნენ ფონდი „ღია საზოგადოება– საქართველო“ და USAID .

2005 წელს, საცდელი პროექტის ფარგლებში, თბილისსა და ზესტაფონში გაიხსნა პირველი ბიუროები, სადაც კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური იურისტები დასაქმდნენ. მათ ეწოდათ „საზოგადოებრივი ადვოკატები“ და დაევალათ უფასო მომსახურების გაწევა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირებისათვის, რომლებსაც არ შეეძლოთ დამცველის საკუთარი ხარჯებით მოწვევა. ასე დაიწყო საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული, კორუმპირებული და არაეფექტიანი „სახაზინო ადვოკატის“ ინსტიტუტის ჩანაცვლება სოციალურ საჭიროებაზე ორიენტირებული იურიდიული დახმარების სისტემით.

დღეისათვის, საქართველოში ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც 11 იურიდიული დახმარების ბიუროსა და 7 საკონსულტაციო ცენტრს, აგრეთვე, კერძო სექტორში მოღვაწე 70 ადვოკატს აერთიანებს. გარდა ამისა, მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 6 საზოგადოებრივ ცენტრში.

10 წლის მანძილზე იურიდიული დახმარების სამსახურმა მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. სტატისტიკის თანახმად, სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის საქმეების 40% სწორედ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმეებზე მოდის, გამამართლებელი განაჩენების 30% კი საზოგადოებრივი ადვოკატების ძალისხმევითაა მიღწეული. გაიზარდა საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობაც. კერძოდ, თუ 2005 წელს იურიდიული დახმარების სისტემის სახელმწიფო დაფინანსება 30 ათას ლარს შეადგენდა, 2015 წელს საბიუჯეტო ასიგნებები 4.5 მილიონ ლარს აღწევს.

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი

იურიდიული დახმარების სამსახური უფასოდ უზრუნველყოფს სამართლებრივ კონსულტაციას, იურიდიული დოკუმენტების შედგენასა და საადვოკატო მომსახურებას. კონსულტაცია განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის, იურიდიუდიული დოკუმენტების შედგენის სერვისი კი – მხოლოდ გადახდისუუნარო პირებისათვის. უფასო საადვოკატო მომსახურება გაეწევა სავალდებულო დაცვას დაქვემდებარებულ, აგრეთვე, – გადახდისუუნარო პირებს.

უფასო საადვოკატო მომსახურება	
სავალდებულო დაცვა	გადახდისუუნარო პირთა დაცვა
• სისხლის სამართლის საქმეები, მათ შორის, არასრულწლოვნების და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა; • პირის მიმართ ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები; • ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა დაცვა, თუ მათ მიმართ განიხილება მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი; • ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვა.	• სისხლის სამართლის საქმეები; • პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საქმეები; • ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, რომლებიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას; • ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა; • საოჯახო და სამემკვიდრეო დავები, ასევე დავები სოციალური დაცვის თაობაზე.

გაწეული იურიდიული დახმარება რიცხვებში



2007 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნიდან დღემდე:

- სამსახურმა უფასო საადვოკატო მომსახურება გაუწია 75 ათასზე მეტ პირს; საქმეთა 90% სისხლის სამართლის დარგს განეკუთვნებოდა;
- სამსახურის ადვოკატებმა სისხლის სამართლის პროცესში 3,500-ზე მეტი არასრულწლოვანი დაიცვეს;
- უფასო იურიდიული კონსულტაციით 100 ათასზე მეტმა პირმა, მათ შორის 60 ათასზე მეტმა ქალმა ისარგებლა;
- 2011–2015 წლებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქართველოში ჩატარებული 17 პროცესიდან 7 პროცესში ბრალდებულებს იურიდიული დახმარების ადვოკატები იცავდნენ;
- 2011–2014 წლებში გამამართლებელი განაჩენით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების 30% გამამართლებელი განაჩენით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების ძალისხმევით დასრულდა.

მნიშვნელოვანი მოვლენები

- 2005: საცდელი პროექტის ფარგლებში, შეიქმნა „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური“, რომლის ბიუროები ზესტაფონსა და თბილისში გაიხსნა.
- 2007: პარლამენტმა მიიღო კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“. იმავე წელს, „საზოგადო–ებრივი ადვოკატის სამსახურის“ საცდელი პროექტის ბაზაზე, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური. 2007 წლის ბოლოს 2 მოქმედ ბიუროს კიდევ 8 ბიურო დაემატა.
- 2009: იურიდიული დახმარების სამსახურმა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გადაინაცვლა სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემაში. იმავე წელს ამოქმედდა იურიდიული დახმარების კიდევ ერთი მოდელი - „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი“, რომელშიც კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატები
- ჩაერთვნენ.
- 2010: იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. UNDP–ის მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისები ამოქმედდა ახალციხესა და ახალქალაქში. მომდევნო წლებში, ოფისები წალკასა და მარნეულშიც გაიხსნა. 2013 წლის ბოლოს კიდევ ერთი ოფისი მესტიაში ამოქმედდა მაღალმთიანი მოსახლეობის
- ინტერესების დაცვის მიზნით.
- 2012: საქართველოს ინიციატივით, გაერომ მიიღო რეზოლუცია „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული
- დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“.
- 2014: იურიდიული დახმარების სამსახური გამოვიდა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემიდან და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. სამსახურის მართვის, მისი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა
- ცხრაწევრიანი იურიდიული დახმარების საბჭო.
- 2015: იურიდიული დახმარება პირველად გახდა ხელმისაწვდომი არა მხოლოდ სისხლის სამართლის, არამედ გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც.

იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველყოფა

- ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის მიზნით,UNDP-ის, UNICEF-ის, ევროკავშირის, USAID-ის, ABA-ს, GIZ-ის და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მუდმივად გადიან პროფესიულ გადამზადებას. 2014–2015 წლებში განხორციელდა საზოგადოებრივ ადვოკატთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.
- სამსახურში მოქმედებს „საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“, აგრეთვე, – „გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“.
- იურიდიული დახმარების 6 ბიუროს ბაზაზე მოქმედებს იურიდიული კლინიკა, სადაც, 2008 წლიდან, ყოველწლიურად, სტაჟირებას სხვადასხვა უნივერსიტეტის 30–მდე სტუდენტი გადის. რამდენიმე წარმატებული სტაჟიორი იურიდიული დახმარების ბიუროებში ადვოკატის პოზიციაზე დასაქმდა.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG)

This Project is funded by The European Union

human dynamics public sector consulting
A project implemented by Hulla and Co. Human Dynamics KG

UNDP Empowered lives. Resilient nations.

საინფორმაციო ფურცელი გამოცემულია დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.



იურიდიული დახმარების სამსახური (ადმინისტრაცია)
მის: თამარ მეფის გამზ. №14,
თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +995(32)2920055
info@legalaid.ge | www.legalaid.ge

თბილისის ბიურო
მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ა,
ტელ: +995(32)2954474; 2954475;
მობ: +995(595)364410

მცხეთა-მთიანეთის ბიურო
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: +995(32)2513873
მობ: +995(595)901705

კახეთის ბიურო
მის: თელავი, ვარდოშვილის ქ. №7
ტელ: +995(350)271538
მობ: +995(595)901707

ქვემო ქართლის ბიურო
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(341)241425
მობ: +995(595)901706

შიდა ქართლის ბიურო
მის: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: +995(370)279556
მობ: +995(595)901704

სამცხე-ჯავახეთის ბიურო
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17
ტელ: +995(362)220735
მობ: +995(599)722176

იმერეთის-ზესტაფონის ბიურო
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: +995(492)253637
მობ: +995(595)364441

იმერეთის-ქუთაისის ბიურო
მის: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3
ტელ: +995(431)253411; 253412
მობ: +995(595)901700

სამეგრელოს-ზუგდიდის ბიურო
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: +995(415)253472
მობ: +995(595)901702

სამეგრელოს-ფოთის ბიურო
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №17
ტელ: +995(493)223234
მობ: +995(595)901703

აჭარის ბიურო
მის: ბათუმი, ბარათაშვილის №27, ბინა 3
ტელ: +995(422) 222489
მობ: +995(595) 901701

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1,
ტელ: +995(496)275992
მობ: +995(595)308850

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
მობ: +995(595) 308847

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის №44
მობ: +995(591)996597

წალკის საკონსულტაციო ცენტრი
მის: წალკა, არისტოტელეს №22
მობ: +995(599) 090091

მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი
მის: მარნეული, რუსთაველის №73
მობ: +995(577) 124428

მესტიის საკონსულტაციო ცენტრი
მის: მესტია, სეტის მოედანი №19
მობ: +995(551)201947; +995 (599)294477

საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი
მის: საჩხერე, თავისუფლების ქ. №4
მობ: +995(551)449633